10/10/2024

MES 0 24 0001311986

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი, 26/09/2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
დასრულების დრო: 16:00 საათი
სხდომის თავმჯდომარე: ზურაბ ორჯონიკიძე
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 26 სექტემბერს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
3. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
4. **მიხეილ გურგენიძე** - შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“ ასისტენტ-პროფესორი;
5. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **სერგო ჭელიძე** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ პროფესორი;
7. **გაიანე სიმონია** - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

10. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **ემილ ავდალიანი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორი;
12. **სალომე კუჭუხიძე** - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
13. **თამარ იოსელიანი** - შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. კახაბერ ჩიხრაძე - შპს „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის“ სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;
2. ჯილდა ჭეიშვილი - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
3. მაია ბიწკინაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. ეკა ბოჭორიშვილი - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
5. ნინო გაგუა - შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ სტუდენტი;
6. ეკა ეკალაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. კახაბერ ვანიშვილი - შპს „მედ-დიაგნოსტიკის“ სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
8. დავით თოთაძე - შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი;
9. ზვიად კირტავა - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პროფესორი;
10. ლევან რატიანი - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიისდეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი;
11. დავით კობეშავიძე - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი.
12. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ნინო სარჯველაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
2. **ქრისტინეაბულაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
3. **სოფიკო ქურასბედიანი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
4. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ნინო დობორჯგინიძე - რექტორი;
ქეთევან დარახველიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
გიორგი გვალია - რექტორის მოადგილე;
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია გამეზარდაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
ანა ხუნდაძე - სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის უფროსი;
დალი ცქიტიშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
სალომე ბილანიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
სალომე შედანია - განვითარების სამსახურის უფროსი;
თეო ყაველაშვილი - ბიბლიოთეკის დირექტორი;
ქეთევან ბოიკო - საერთაშორისო სტუდენტებისა და პროგრამების მარკეტინგის სამსახურის უფროსი;
ელენე ჟურავლიოვა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
თამარ ბარბაქაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
იაგორ კალანდაძე - პროფესორი;
თამაზ შაბურიშვილი - პროფესორი;
ივანე აბიათარი - მედიცინის სკოლის ხელმძღვანელი;
გიორგი პაპუაშვილი - სამართლის სკოლის დეკანი;
მარინა მესხი - სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნიკოლოზ ყაველაშვილი - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
მაია ბიწაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო მატარაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
მაკა ლაშხია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ამირანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია“:
ირინე შოთაძე - რექტორი;
ნინო სიხარულიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ ჯაში - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
შალვა ახრახაძე - მრჩეველი ფინანსურ საკითხებში;
ეკატერინე კლდიაშვილი - ვიცე-რექტორი კვლევის მიმართულებით;
ია ავალიანი - ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
სებასტიენ კუდერი - სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
მაკა მაღლაკელიძე - ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ლალი მეკოკიშვილი - მედიცინის სკოლის დეკანი;
ცისანა ლომაშვილი - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი;
ნინო კეკენაძე - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი;
ანა მიხელიძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
ანზორ ძირკველაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
მაია ზარნაძე - ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

აზიმ მუჰამედ მირზაზადე (Azim Mohammad Mirzazadeh) – I საკითხი;
სოფიო ხუნდაძე - I საკითხი;
ხათუნა საგანელიძე - I საკითხი;
ეკა ლეკაშვილი - I საკითხი;
მაგდა მემანიშვილი - I საკითხი;
ნათია მაღალაშვილი - I საკითხი;
ელენე ზურაბიშვილი - II საკითხი;
თამარ გოდერიძე - II საკითხი;
ლანა ბოკუჩავა - II საკითხი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- დიახ.

თვითაცილება განაცხადეს: საბჭოს ძირითადმა წევრმა - ემილ ავდალიანმა და საბჭოს მოწვეულმა წევრმა - დავით თოთაძემ, აცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთან მიმართებით.
საერთაშორისო ექსპერტი - **მილან პოლი (Milan Pol)** ავტორიზაციის საბჭოს არ ესწრებოდა, თუმცა მან გამოაგზავნა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის დაფიქსირების შესახებ ვიდეოჩანაწერი, რომელიც საბჭოს სხდომაზე იქნა გამოქვეყნებული. მილან პოლმა, ჩანაწერის შესაბამისად, განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტმა კონსტრუქციულ რეჟიმში ჩაიარა. შვიდივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დაწესებულების მიმართ გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდებოდა უნივერსიტეტის დაკვირვებასა და მონიტორინგს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით. ექსპერტის მოსაზრებით, ინსტიტუცია მუდმივად უნდა აახლებდეს თავის შიდა დოკუმენტაციას კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად. მილან პოლმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ასევე, ჰქონდა რამდენიმე რჩევა უნივერსიტეტის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რაც ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მილან პოლის განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტებმა გამოავლინეს საუკეთესო პრაქტიკა, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია, ასევე, მოცემულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაცია უნდა მიენიჭოს.
ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი - აზიმ მუჰამედ მირზაზადე (Azim Mohammad Mirzazadeh) სრულებით დაეთანხმა კოლეგის მოსაზრებას. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ საჭირო იყო მარეგულირებელი დოკუმენტების ინგლისურ ენაზე დროულად თარგმნა. ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტები ხუთი დღის განმავლობაში მუშაობდნენ უნივერსიტეტის შეფასებასთან დაკავშირებულ

საკითხებზე და სხვადასხვა ჭრილში განიხილავდნენ უნივერსიტეტის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო პოზიტიური და მასში ასახული იყო უნივერსიტეტის ძლიერი და გასავითარებელი მხარეები.

ავტორიზაციის ექსპერტმა - ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებიდან დამატებითი დოკუმენტები გამოითხოვა, უნივერსიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებების კიდევ ერთხელ გადამოწმების მიზნით. დაწესებულებამ დოკუმენტები წარმოადგინა, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფი გამოხატავდა კმაყოფილებას იმ დამოკიდებულებისათვის, რომელიც უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს გამოიჩინა. ეკა ლეკაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა მეშვიდე სტანდარტთან მიმართებით გარკვეული რჩევები წარმოადგინა. ამასთან, ექსპერტებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ ინსტიტუცია დიდ სამუშაოს ეწევა, ამიტომ ის კომპონენტები, რომლებიც ავტორიზაციის მეშვიდე სტანდარტის ფარგლებში რჩევის სახით გასცეს, არ განიხილეს, როგორც რეკომენდაცია, ვინაიდან უნივერსიტეტის ვებგვერდზე მიმდინარეობდა მუშაობა, კერძოდ, ინგლისურენოვანი მასალების სრულად ატვირთვა და განახლება.

გარდა ამისა, ეკა ლეკაშვილმა დაამატა, რომ მუდმივ განახლებას საჭიროებს ხელშეკრულებები, რომლებშიც მოცემული იქნება პროგრამის მიზანი, ხანგრძლივობა და პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დასახელებული პროცესი მიმდინარეობს და ხელშეკრულებების განახლების პროცესში ყველა ძირითადი პირობა აისახება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნინო დობორჯგინიძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა დაწესებულებისთვის. ბოლო ორი წელი დაწესებულება ამ პროცესისთვის ემზადებოდა. უნივერსიტეტის რექტორის განმარტებით, ავტორიზაციის ამ ეტაპს დაწესებულება ძირითადად ორი მნიშვნელოვანი სიახლით ხვდებოდა. პირველი ეს იყო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიური კამპუსის აშენება, სადაც ფუნქციონირებდა აშშ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს აკრედიტებული პროგრამები; მეორე - განისაზღვრა უნივერსიტეტის შესაძლებლობები მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის, მათ შორის სტუდენტების რაოდენობასთან და სამეცნიერო, კვლევით და პრაქტიკოს პერსონალთან მიმართებით.

უნივერსიტეტის რექტორმა, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, მიუთითა, რომ ამ უკანასკნელის შესახებ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რომელიც მედიცინის პროგრამის განხორციელებისათვის არის საჭირო, როგორც მატერიალური რესურსების, ისე - ინტელექტუალური რესურსების თვალსაზრისით. ერთადერთი რეკომენდაცია გაიცა მასზე, რომ უნივერსიტეტმა თვალი ადევნოს სამართლებრივ დოკუმენტებში შესულ ცვლილებებს და შიდა დოკუმენტაცია განხორციელებულ ცვლილებებთან დროულად მოიყვანოს შესაბამისობაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა - ნინო ჟვანიამ, ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მისდევს საქართველოს კანონმდებლობას, რაც უკავშირდება პროგრამების აკრედიტაციას. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიმართულებით მარეგულირებელ დოკუმენტად იყენებს პროგრამის კლასტერული აკრედიტაციის ვადების შესახებ შესაბამის ბრძანებას, სადაც მითითებულია, კონკრეტული სწავლის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამებს როდის უწევთ განმეორებითი აკრედიტაცია. შესაბამისად, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ამ ვადების გათვალისწინებით

მიმდინარეობს. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, ასევე, დაამატა, რომ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მითითებული იყო რეკომენდაცია, წარმოებაშია მიღებული ცენტრში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ყველა პროგრამაზე უკვე განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტები და უნივერსიტეტი ელოდებოდა ექსპერტთა ჯგუფების მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტებს. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადად განსაზღვრული იყო 2024 წლის 31 დეკემბერი. რადგან ეს პროგრამები გაგზავნილი იყო ცენტრში აკრედიტაციის გავლის მიზნით, ავტორიზაციის განაცხადს თან ერთოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, რომელთა აკრედიტაციის ვადა ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული.
უნივერსიტეტის რექტორმა ნინო დობორჯგინიძემ დაამატა, რომ როდესაც დაწესებულებამ წარადგინა საავტორიზაციო განაცხადის პაკეტი, მოქმედებდა ის პროგრამები, რომლებსაც მიმდინარე აკრედიტაციის ვადა 2024 წლის დეკემბრის ბოლომდე აქვთ და ისინიც ამის მიხედვით ხელმძღვანელობდნენ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაესვა თ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა - გაიანე სიმონიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ყურადღებით წაიკითხა მედიცინის პროგრამა და მას კონკრეტულად აინტერესებდა, რა ეტაპებს, კომპონენტებს მოიცავდა და როგორ დაინერგა სამედიცინო პროგრამის სწავლების სფეროში საკმაოდ აქტუალური თემა - „Workplace Based Assessment“.
მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელმა - ივანე აბიათარმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მცდელობა „Workplace Based Assessment“-ის დანერგვის კლინიკურ საფეხურზე. ასევე, მისი განმარტებით, უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამაში გეგმავს „DOPS“-ის და მინიკლინიკური გამოცდის შეფასების ინტეგრაციას. აკადემიური პერსონალისთვის ტარდება ტრენინგები ამ მეთოდიკის სწორად იმპლემენტაციისთვის. ივანე აბიათარმა აღნიშნა, რომ მათ დაგეგმილი ჰქონდათ მორიგი ტრენინგი მიმდინარე სემესტრისთვის და იმის მიხედვით, თუ როგორი უკუკავშირი იქნებოდა, უნივერსიტეტს ექნებოდა მცდელობა, რომ უფრო ფართოდ მოეცვა სხვა კლინიკური დისციპლინებიც. გარდა ამისა, დაწესებულება მუშაობდა იმ საკითხთან დაკავშირებითაც, რომ მედიცინის პროგრამაში 360° შეფასების მეთოდი დაინერგოს. ამ ეტაპზე ეს დროებით ვერ ხერხდებოდა, ვინაიდან მედიცინის პროგრამაზე ჯერჯერობით არ ჰყავდათ მეთერთმეტე და მეთორმეტე სემესტრის სტუდენტები.
საბჭოს წევრმა - მამუკა ხუსკივაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს დასკვნის პროექტში არსებულ რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობის ასახვას. მისი განმარტებით, თავდაპირველად, დასკვნის პროექტში ექსპერტებს მეშვიდე სტანდარტში ჰქონდათ გაცემული რეკომენდაცია მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობის ასახვის თაობაზე, თუმცა ეს რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში. მას აინტერესებდა, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი მემორანდუმებით იხელმძღვანელა ექსპერტთა ჯგუფმა, თუ მხოლოდ მედიცინის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი მემორანდუმებით.
ექსპერტმა - ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა იხელმძღვანელეს არა მარტო მედიცინის, არამედ მთლიანად ინსტიტუციის მიერ დადებული მემორანდუმებით. აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის ფორმით შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტზე დაწესებულებისგან მიიღო უკუკავშირი. მისი მოსაზრებით, მედიცინასთან დაკავშირებული პროცესი გარკვეულ რეგულაციაში ჯდებოდა და წარმოდგენილი ხელშეკრულებების ცვლილება მიმდინარე პირობებში ხდებოდა. ამიტომ, მისი განმარტებით, ექსპერტებმა აზრთა შეჯერების საფუძველზე გადაწყვიტეს, აღნიშნულთან დაკავშირებით, რეკომენდაციის ნაცვლად, რჩევა მიეცათ.

საბჭოს წევრმა - ლევან მიდოდაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებსა და დაწესებულებას 3.1 კომპონენტში წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება გარკვეულ შემთხვევაში ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე აერთიანებს ორ სხვადასხვა მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამას. ექსპერტებს მაგალითისთვის მოყვანილი ჰქონდათ მეცნიერებათა და ხელოვნების სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება და „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამასთან გაერთიანების საკითხი. ლევან მიდოდაშვილის განმარტებით, აკრედიტაციის დებულებით, კერძოდ, დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტზე დაყრდნობით, პროგრამების ამგვარი გაერთიანება დაუშვებელია. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც ამგვარი გაერთიანება კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხდება. გაერთიანებული პროგრამის განხორციელება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით - აკრედიტაციის გავლის პირობებში უნდა მოხდეს. დასკვნაში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი. შესაბამისად, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ დაწესებულება ახორციელებს ისეთ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის განხორციელების უფლებაც მას არ აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტმა - მაგდა მემანიშვილმააღნიშნა, რომ მცირე რაოდენობის სტუდენტები, რომლებიც დარჩენილი იყვნენ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამაზე, შიდა მობილობის წესით გადაყვანილ იყვნენ „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. არ იყო გამორიცხული, რომ ამ უკანასკნელ საგანმანათლებლო პროგრამაზე შექმნილიყო ისეთი კონცენტრაცია ან მოდული, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით გააერთიანებდა სასწავლო კურსებს. შესაბამისად, ვიზიტის დროს საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანებასა და შერწყმაზე საუბარი არ ყოფილა. ავტორიზაციის ექსპერტმა, ასევე, განმარტა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია მილევად რეჟიმში მყოფ პროგრამებზე სწავლების წესი, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ პროცესს. შესაბამისად, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა ხდება არამომგებიანი ან სტუდენტთა რაოდენობა არის შემცირებული, ფინანსური გათვლების მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების წინაშე შეიძლება დადგეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია.

საბჭოს წევრმა - ლევან მიდოდაშვილმა ახსნა, თუ რატომ გაუჩნდა კონკრეტული შეკითხვა. მისი განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებულია, რომ დაწესებულებას აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დოკუმენტის მესამე მუხლი არეგულირებს უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმება-გაერთიანების პროცედურებს, თუმცა იმ დოკუმენტში, რომელიც უნივერსიტეტის ვებგვერდზეა განთავსებული, პროგრამების გაერთიანების საკითხზე რაიმე მსგავსი ჩანაწერი არ შეხვედრია.

დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეალურად არც შერწყმა და არც გაერთიანება არ ასახავს იმ პროცესს, რაც ამ ორი პროგრამის შემთხვევაში მოხდა. ბოლო წლების დინამიკამ აჩვენა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით სტუდენტთა ინტერესი რეგულარულად მცირდება. შესაბამისად, ფაკულტეტის მიერ მიღებულ იქნა არსებული პროგრამის მილევად რეჟიმში გადაყვანის, და არა მისი გაერთიანების, შესახებ გადაწყვეტილება. ამის პარალელურად, შემუშავდა ახალი პროგრამა სახელწოდებით „საერთაშორისო ურთიერთობები - ევროპა და ახლო აღმოსავლეთი“, რომლის ფარგლებშიც რეგიონული კონცენტრაციის ფორმატში მოხდა აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით უნივერსიტეტში არსებული აკადემიური რესურსების ინტეგრირება. ეს არ იყო ფორმალურად ორი პროგრამის გაერთიანება, ეს იყო აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამის მილევად რეჟიმში გადაყვანა. ასევე, მან დააზუსტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა შიდა მობილობა. უნივერსიტეტმა აიღო ვალდებულება და მილევად რეჟიმში ყველა ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლა ამავე პროგრამაზე

დაასრულებინა. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება იყო რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით მიღებული. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართ ინტერესის შენარჩუნებას.
უნივერსიტეტის რექტორმა - ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც 1964 წელს აღმოსავლეთთან საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მიზნით შეიქმნა. ამ ინსტიტუტმა ძალიან გაამართლა და დატვირთულია ისეთი კომპონენტებით, როგორებიცაა - ენები, ისტორია და ცივილიზაცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა - ნინო ჟვანიამდაამატა, რომ აღნიშნულმა საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2022 წელს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში იყო ორი მიმართულება (ევროპა და ახლო-აღმოსავლეთი) და ანიჭებენ საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს. შესაბამისად, ისინი მიჰყვებიან იმ კანონმდებლობას და რეგულაციებს, რომლებიც ეხება საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაციას.
საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, აღნიშნა, რომ აღმოსავლური ენების (თურქული, არაბული და სპარსული) მიმართ ინტერესი, სამწუხაროდ, გამქრალი იყო. რეგიონულმა კონცენტრაციამ თავისთავად განაპირობა ენების მიმართ ინტერესი.
საბჭოს წევრმა - დავით ლეშკაშელმა კითხვით მიმართა დაწესებულებას საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, არის თუ არა უნივერსიტეტის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში სტუდენტი ჩართული.
საერთაშორისო სტუდენტებისა და პროგრამების მარკეტინგის სამსახურის უფროსმა - ქეთევან ბოიკომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სტუდენტი ქვეყანაში ჩამოსვლამდე და ჩამოსვლის შემდეგ გადის გარკვეულ ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია მათი ჩამოსვლის მომზადებასთან. იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს საერთაშორისო გარემოში ადაპტირება, დაწესებულება ატარებს მიღების კვირეულს. უნივერსიტეტმა დაამკვიდრა სპეციალური პროგრამა, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების ერთმანეთთან დაკავშირებას. უნივერსიტეტის მოქმედი სტუდენტები აქტიურად უწევენ საორიენტაციო შეხვედრებს ახალ სტუდენტებს იმისთვის, რომ შეძლონ საუნივერსიტეტო სივრცეში მარტივად ადაპტირება. სწორედ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული „Culture Festival“ ემსახურება საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტის ადაპტირებას და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს, ერთ სივრცეში წარადგინონ თავიანთი კულტურა.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ქეთევან ბოიკომ ისაუბრა, ასევე, სხვა სახის მხარდამჭერ ღონისძიებებზე, როგორებიცაა, მაგალითად, სტუდენტური კლუბები, სპორტის სხვადასხვა სახეობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ ექსპერტების რჩევას, კიდევ უფრო გააძლიერონ ძალისხმევა, რომელსაც ისინი ახორციელებენ საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის მიმართულებით. ამისთვის მათ უკვე შემუშავებული ჰქონდათ კვლევებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა, რომელიც სტუდენტებთან წელიწადში ერთხელ ტარდებოდა და სერვისების კითხვარი, რომელსაც უზიარებდნენ სტუდენტებს და იღებდნენ მათგან უკუკავშირს. ამის გათვალისწინებით, იმისათვის რომ ხელი შეუწყონ სტუდენტების ინტეგრაციას, შემდეგი წლისთვის, ასევე, განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები.
დაწესებულების რექტორმა - ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ როდესაც ტარდება ფაკულტეტისა თუ წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნები, მასში ყველა სტუდენტი იღებს მონაწილეობას. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს, დაესწროს საერთაშორისო კონფერენციებს. ეს დამოკიდებულია სტუდენტის შესაძლებლობებსა და აკადემიურ მოსწრებაზე. გარდა ამისა, სტუდენტს აქვთ შესაძლებლობა, კლუბური პრინციპით მიმართოს უნივერსიტეტს ინიციატივების დაფინანსების მიზნით. შესაბამისად, უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტის ჩართულობა უზრუნველყოფილია.

საბჭოს წევრმა - თამარ იოსელიანმა ექსპერტებს მიმართა, რომ მერვე და მეცხრე რჩევასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ ავტორიზაციის საბჭოსთვის და განევრცოთ, რატომ გაიწერა რჩევებში აღნიშნული და რა პრობლემებს წააწყდნენ. მან, ასევე, სთხოვა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ შემდგომი რჩევა, რომელიც ეხებოდა სამართლის სკოლას და იქ შესაბამის აკადემიურ პერსონალს, სადაც აღნიშნული იყო, რომ, სრული და ასოცირებული პროფესორების გარდა, დაწესებულებას სასურველია, ჰყავდეს შედარებით დაბალი პოზიციის აკადემიური თანამდებობის მქონე პერსონალი (ასისტენტები), რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის უწყვეტობა და მდგრადობა, ასევე, დარგში შესაბამისი პროფესიონალების განვითარება და გაზრდა.
ავტორიზაციის ექსპერტმა - ეკა ლეკაშვილმა მერვე რჩევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს ყველა მემორანდუმი. ზოგიერთ მემორანდუმში მითითებული არ იყო ვადები და სტუდენტთა მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობა. ეს, ძირითადად, ეხებოდა მედიცინის პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ მემორანდუმებს. თავდაპირველად, ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულებისაგან უკუკავშირის გაცნობის შემდეგ, გადაიტანეს რჩევაში, ვინაიდან უნივერსიტეტს გაცნობიერებული ჰქონდა მოცემულობა, რომ მემორანდუმებში უნდა აისახოს მიზანი, სტუდენტების რაოდენობა და ხანგრძლივობა და ეს პროცესი უნივერსიტეტში ვიზიტის დროს უკვე დაწყებული იყო. შესაბამისად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ამ მიმართულებით ინსტიტუცია გააგრძელებდა მუშაობას.
ექსპერტმა - მაგდა მემანიშვილმა, მეცხრე რჩევასთან დაკავშირებით საბჭოს წევრის - თამარ იოსელიანის მიერ დასმულ კითხვაზე, განმარტა, რომ როდესაც სწავლობდნენ ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის მტკიცებულებებში წარმოდგენილ დოკუმენტებს, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში კვალიფიციური ადამიანური რესურსია და ამ კუთხით მათ არანაირი შენიშვნა არ ჰქონიათ. თუმცა, ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს გარემოებას, რომ სამართლის სკოლას საშტატო ნუსხაში არ ჰყავდა ასისტენტები, რომლებიც შესაძლებელია, სკოლისათვის სასარგებლო რესურსი ყოფილიყო. შესაბამისად, სასურველი იყო, რომ ყველა სკოლას ჰყოლოდა ასისტენტ-პროფესორები სკოლისა და ადამიანური რესურსების მდგრადობისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.
რექტორმა - ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ მემორანდუმები, განსაკუთრებით სამედიცინო პროგრამის ფარგლებში, სრულად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებს. მემორანდუმებში მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა, თუ არ ჩავთვლით იმ ძველ მემორანდუმებს, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ სტუდენტთა რაოდენობის მითითებას. მაგალითად, დაწესებულებას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული „ბაქტერიოფაგთან“, რომელშიც არ იყო სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრული და არც საჭიროება მოითხოვდა ამას. ამრიგად, ყველა ახალი მემორანდუმი ითვალისწინებდა სტუდენტთა რაოდენობას. რექტორმა - ნინო დობორჯგინიძემ, ასევე, აღნიშნა, რომ როდესაც მათ მიიღეს დასკვნის პროექტი, გამოაგზავნეს არგუმენტირებული პოზიცია ამ თემაზე და შემდეგ ექსპერტებმა ეს რეკომენდაცია გადაიტანეს რჩევებში. უნივერსიტეტის რექტორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყველა მემორანდუმში, რომელსაც გააფორმებდა დაწესებულება, მითითებული იქნებოდა ის პირობები, რაზეც საუბრობდნენ ექსპერტები, ხოლო, რაც შეეხება ძველ მემორანდუმებს, ისინი უახლოეს მომავალში განახლდებოდა. ნინო დობორჯგინიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ყველანაირი რესურსი, მათ შორის კლინიკური სწავლების, სტაჟირების თვალსაზრისით, რომ მოემსახუროს მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტებს ყველა საფეხურზე, მათ შორის მედიცინის მიმართულებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:52

დასრულების დრო: 15:15

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის - 17 770 - ით, მათ შორის - დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით, განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე უნივერსიტეტის მიერ ცენტრისათვის წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული არგუმენტაციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასებები.

ამასთან, ავტორიზაციის საბჭომ მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტის 3.1 კომპონენტი, ნაცვლად - „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, უნდა შეფასებულიყო როგორც - „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს აღნიშნული შეფასება დაეფუძნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 3.1 კომპონენტში დაფიქსირებული „რჩევის“ შინაარსს, რომელიც შინაარსობრივად უფრო მეტად იყო რეკომენდაცია, ვიდრე რჩევა. ამასთან, ვინაიდან 3.2 კომპონენტი ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის შეფასება, მისი ორი კომპონენტის (3.1 და 3.2) შეფასების გათვალისწინებით, განისაზღვრა როგორც - „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭომ, ასევე, მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტის 4.2 კომპონენტი უნდა შეფასებულიყო როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს აღნიშნული მოსაზრება ძირითადად დაეფუძნა შემდეგ გარემოებებს: აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გაუმჯობესებას აფილირებული აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ და ასევე, 4.2 კომპონენტში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული „რჩევის“ შინაარსს, რომელიც, საბჭოს მოსაზრებით, იყო რეკომენდაცია და არა რჩევა. აღნიშნული კომპონენტის შეფასების ცვლილებას არ გამოუწვევია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ავტორიზაციის საბჭოს მოსაზრებით, ავტორიზაციის სტანდარტის 7.1 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად - „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, უნდა ყოფილიყო - „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, ავტორიზაციის სტანდარტის 7.3 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად - „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, უნდა ყოფილიყო - „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 7.1 და 7.3 კომპონენტების შეფასების ცვლილება განპირობებული იყო აღნიშნულ კომპონენტებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რჩევების შინაარსით. კერძოდ, საბჭოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ კომპონენტებში დაფიქსირებული „რჩევების“ ნაწილი უნდა მიჩნეულიყო რეკომენდაციებად. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 7.1 კომპონენტში დაფიქსირებული „რჩევა“, საბჭოს მოსაზრებით, თავისი შინაარსით იყო უფრო რეკომენდაცია, ასევე 7.3 კომპონენტში ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ორი „რჩევა“ - ვებგვერდთან და პორტალთან დაკავშირებით, იყო უფრო რეკომენდაცია, ვიდრე რჩევა. შესაბამისად, ვინაიდან მე-7 სტანდარტის ორი კომპონენტი ფასდებოდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, მთლიანი სტანდარტის შეფასება განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 2 2
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 204861970) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 17 770-ით, მათ შორის - დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ერთი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშის შეფასება განხორციელდეს გეგმური მონიტორინგის ფარგლებში.
აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 26 სექტემბერს.

დაწესებულების რექტორმა და წარმომადგენლებმა გამოთქვეს მოსაზრება და მიმართეს ავტორიზაციის საბჭოს, რომ განემარტა, თუ რამ გამოიწვია ექსპერტთა დასკვნის ცვლილება სრული შესაბამისობიდან; ამასთან, რით იყო განპირობებული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მონიტორინგის განსაზღვრაზე. საბჭომ განმარტა, რომ საბჭოს დასაბუთებული პოზიცია დაფიქსირებული იქნებოდა სხდომის ოქმში.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს შიდა დოკუმენტაციის სწორად და დროულად განახლებას;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტი დააკვირდეს და მყისიერად მიჰყვეს საკანონმდებლო ცვლილებებს, განსაკუთრებით - საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში;
- რეკომენდებულია, დაწესებულებას სამართლის სკოლაში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების გარდა, ჰყავდეს, აგრეთვე, შედარებით დაბალი პოზიციის მქონე აკადემიური პერსონალი (ასისტენტები), რათა უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტობა და მდგრადობა და დარგის პროფესიონალების განვითარება, მათი პროფესიული და კარიერული ზრდა;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტში გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რაც გამოიწვევს აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გაუმჯობესებას აფილირებული აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ;

- რეკომენდებულია, ყველა მემორანდუმში მიეთითოს სტუდენტების მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს პარტნიორი დაწესებულება (სტაჟირება, კლინიკური პრაქტიკა);
- რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს ინგლისურენოვანი ვებგვერდის სრულყოფა, რაც საერთაშორისო სტუდენტებისთვის აღმოფხვრის პოტენციურ საინფორმაციო და საკომუნიკაციო პრობლემებს;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში აისახოს ახალი ვებპორტალის სრულყოფასთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები.

რჩევები:

- სასურველია, გააგრძელდეს დაწყებული ძალისხმევა, კერძოდ, იმ მიმართულებით, რომ დაწესებულება იყოს ინკლუზიური და ღია, რომელიც პროაქტიულად შესთავაზებს სწავლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს.

● სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს პერსონალისთვის „სამუშაო-ცხოვრების“ ბალანსის საკითხის სტრატეგიულ გეგმებში შეტანის შესაძლებლობა, შესაბამისი შიდაორგანიზაციული ზომებით.
● სასურველია, რომ გაგრძელდეს ძალისხმევა, რათა უნივერსიტეტი გახდეს ადგილი, სადაც სტუდენტთა სხვადასხვა ნაკადის რეალური ინტეგრაცია ეფექტურად ხდება (მაგალითად, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების).
● სასურველია, უფრო ინტენსიური და რეგულარული შეხვედრების ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მიეწოდოთ უკუკავშირი იმ აქტივობებზე, რომლებიც დაწესებულებამ მათი რეკომენდაციებისა და რჩევების საპასუხოდ განახორციელა. ეს, ასევე, უნდა შეეხოს ყველა დაინტერესებულ მხარეს და შესაძლოა, ამან მიიღოს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა, რათა მისცეთ მათ რეგულარული მოტივაცია, ღირებული მონაწილეობა მიიღონ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევასა და შეფასებაში.
● სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს სტუდენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი არჩევითი კურსების შეთავაზების და მათი პრაქტიკული მომზადების სფეროს გაფართოების შესაძლებლობები.

- სასურველია, განხილულ იქნას დაწესებულებაში მოქმედი ყველა სასწავლო პროგრამისთვის მრჩეველთა საბჭოების დანერგვის შესაძლებლობა.

● სასურველია, ელექტრონული ფოსტის გაგზავნის პროცესში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გონივრული რაოდენობისა და მოცულობის ინფორმაციის გავრცელება.

მეორე საკითხი - შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი - მიშელ ვერა **(Michele Wera)** და თანა-თავმჯდომარე, სალმა სოუსი **(Salma Soussi),** ავტორიზაციის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ. მათი პოზიცია „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ შესახებ მისი პოზიცია საბჭოს წევრებს ცენტრის წარმომადგენელმა წერილის სახით გაუზიარა. საერთაშორისო ექსპერტების წერილში გაცხადებული იყო, რომ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში დაწესებულებამ შესანიშნავ პროგრესს მიაღწია. ამის შესაბამისად, დაწესებულების მიმართ გაიცა მხოლოდ ორი რეკომენდაცია, რომელიც სრულად იქნა გაზიარებული. მათი მოსაზრებით, უნივერსიტეტის ასეთი ქმედება ნიშნავდა, რომ ის ზრუნავდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
ექსპერტმა - ლანა ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ძალიან კარგი სტრუქტურული განაწილება არსებობს, რომელიც უკვე განახლებულია და წარმატებით ფუნქციონირებს. დაწესებულება ორიენტირებულია არა მარტო საგანმანათლებლო პროგრამების, არამედ -პერსონალის განვითარებაზე, სტუდენტურ კეთილდღეობაზე.
ავტორიზაციის ექსპერტმა - **თამარ გოდერიძემ** განაცხადა, რომ ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ნამდვილად დაანახა ექსპერტთა ჯგუფს განვითარებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯები.
უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაესვა თ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კითხვები.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებასთან დააზუსტა მოთხოვნილ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რასთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტის რექტორმა ირინე შოთაძემ აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულებას ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 1 300 ადგილით და ითხოვდნენ დამატებით 500 ადგილს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:41
დასრულების დრო: 16:00
სხდომისთავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის“ ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის - 1 800-ით, მათ შორის -„სამკურნალო საქმის“ ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის - 250-ით, „მედიცინის“ ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის - 1 450-ით, განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:

წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას“ (ს/კ: 204861961) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 800-ით, მათ შორის: „სამკურნალო საქმის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართულენოვანი) - სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით, „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) - სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 450-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 26 სექტემბერს.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაინერგოს კონტროლისა და ბალანსის ძლიერი სისტემა, რადგან კარგი მმართველობის ეს ძირითადი პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო დაწესებულებისთვის; კერძოდ, დაინერგოს ძირითადი დაინტერესებული მხარეების დანიშვნის მკაფიო, ფორმალური, ინსტიტუციური პროცედურა;
- რეკომენდებულია, პაციენტთან უფრო მეტი პირდაპირი კონტაქტი რეალურ კლინიკურ გარემოში, განსაკუთრებით, საერთაშორისო სტუდენტებისთვის, ინდივიდუალური სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

რჩევები:

- სასურველია, გამარტივდეს დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა, რაც გაუმჯობესებს ეფექტურობასა და კომუნიკაციას;
- სასურველია, ინოვაციების დანერგვის მიზნით, დარეგულირდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესი CIMED- ის რჩევების შესაბამისად;
- სასურველია, წახალისებულ იქნეს ხელმძღვანელების რეგულარული შეკრება, საგანმანათლებლო საკითხების განხილვა, რაც სასარგებლო იქნება სამივე პროგრამისთვის;
- სასურველია, სტუდენტს, როგორც ძირითად დაინტერესებულ მხარეს, საშუალება მიეცეს, გახდეს ბიბლიოთეკის კომიტეტის მუდმივი წევრი;
- სასურველია, სამივე - „დიპლომირებული მედიკოსის“ MD, „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ (MPH) და სადოქტორო PhD პროგრამისთვის ცალ-ცალკე შეიქმნას სასწავლო გეგმის კომიტეტი და დარეგულირდეს მისი წევრების შემადგენლობა და დანიშვნა;
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიში გამოქვეყნდეს დაწესებულების ვებგვერდზე, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს ყველა დაინტერესებული მხარის ღიაობა და ჩართულობა.

- სასურველია, შეიქმნას ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ფორმალურად მხარს დაუჭერს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს;
- სასურველია, დაისახოს უფრო ამბიციური სამიზნე თანაფარდობა სტუდენტების მიერ დიპლომირებული მედიკოსის (MD) პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის ექვს წელიწადში;
- სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს კლინიკურ გარემოში სწავლებისა და სწავლის პროცესის მუდმივი მონიტორინგი „დიპლომირებული მედიკოსის“ (MD) პროგრამის სტუდენტების კლინიკური გამოცდილების შემდგომი გაუმჯობესებისთვის;
- სასურველია თანამშრომლობა საქართველოში სამედიცინო განათლების სხვა მიმწოდებლებთან, რათა გადაიჭრას ენობრივი გამოწვევები, რომლებსაც საერთაშორისო „დიპლომირებული მედიკოსის“ (MD) სტუდენტები ქვეყნის ძირითად სამედიცინო სკოლებში აწყდებიან;
- დაწესებულებამ მიზნად უნდა დაისახოს ეფექტური სტრატეგიების შემუშავება მათი კლინიკური გამოცდილების გასაუმჯობესებლად;
- სასურველია პოტენციურ სტუდენტებთან გასაუბრების დროს ენობრივი მოთხოვნების განხილვა, რაც გააძლიერებს პაციენტთან მათ ეფექტურ კომუნიკაციას და დაეხმარება, მიაღწიონ სწავლის ოპტიმალურ შედეგებს;
- სასურველია, დაწესებულება დარწმუნდეს, რომ ახალი „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“(MPH) და სადოქტორო PhD პროგრამები სრულად იყენებენ „დიპლომირებული მედიკოსის“ (MD) პროგრამაში დანერგილ ინოვაციებს;
- სასურველია, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში გაგრძელდეს სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების პილოტირების შედეგებზე შემდგომი დაკვირვება;
- სასურველია, სამომავლოდ პერსონალის კმაყოფილების კითხვარებში შეტანილ იქნეს კითხვები პერსონალის ჩართულობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ დამატებამ შეიძლება, გამოავლინოს პერსონალის ღირებული ხედვები და საშუალებას მისცემს დაწესებულებას, შეაგროვოს შესაბამისი მონაცემები და გააძლიეროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო მონაწილეობითი მიდგომა;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის რეზიუმეებში, გარდა ჩამოთვლილი კლინიკური გამოცდილებისა, კლინიკური დისციპლინებისთვის გათვალისწინებულ იქნეს ცნობები კლინიკებიდან / საავადმყოფოებიდან შესაბამისი კლინიკური სამუშაო გამოცდილების დადასტურების მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოთხოვნილი კლინიკური გამოცდილების კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს;
- სასურველია, სწავლების ხარისხის შესანარჩუნებლად, გაკონტროლდეს პერსონალის ზედმეტი დატვირთვის რისკი, მუშაობისა და პირადი ცხოვრების ჯანსაღი ბალანსის უზრუნველსაყოფად;
- სასურველია, დაწესებულებამ მოიძიოს გზები, იმისათვის, რომ უფრო ინტენსიურად ჩართოს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის საერთაშორისო სტუდენტები პაციენტების მოვლის პროექტებში ადგილობრივ საზოგადოებაში;
- სასურველია, წახალისებულ იქნეს ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტური ჯგუფების შემდგომი ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- სასურველია, წახალისდეს და მხარი დაეჭიროს ადგილობრივ და უცხოურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით კვლევით პროექტებს აკადემიური პერსონალის ჩართულობით;
- სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების ჩართულობა კვლევით საქმიანობაში და, თითოეული სტუდენტის საგანმანათლებლო გამოცდილების და აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო შესაძლებლობები;
- სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს გვამზე მუშაობის პრაქტიკის, როგორც ყოვლისმომცველი სამედიცინო სწავლების ფუნდამენტური კომპონენტის, დანერგვა

ანატომიის ლაბორატორიის შექმნით და, რესურსებისა და დაფინანსების გაზიარების მიზნით, სხვა სამედიცინო სკოლებთან პოტენციური თანამშრომლობით;

- მოსახერხებელი წვდომის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, გათვალისწინებული იყოს განსხვავებული ვებგვერდების შექმნა სტუდენტური ურთიერთობებისთვის და ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ